

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.08.2021

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2021 წლის ივლისი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით შემცირდა 1.7 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 21.9 პროცენტის ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 21.9 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 18.5 პროცენტის მატება ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 18.6 პროცენტის კლება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 17.9 პროცენტის ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ივლისში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2020 წლის ივლისთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|----------|--|--------------------|--|
| | სულ | 121.9 | 21.86 |
| B | სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია | 118.5 | 2.58 |
| C | დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია | 121.9 | 19.40 |
| 10 | კვების პროდუქტები | 121.9 | 2.31 |
| 19 | კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები | 158.6 | 4.57 |
| D | ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი | 81.4 | -0.15 |
| E | წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით | 117.9 | 0.03 |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.08.2021

იპორტის ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400) ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge